

შპს უნივერსალინტრალოჯისტიკს
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

შპს უნივერსალინტრალოჯისტიკს

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგებაზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობა	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1.ზოგადი ინფორმაცია	6
2.კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	10
4.ძირითადი საშუალებები	10
5.არამატერიალური აქტივები	11
6.მარაგები	11
7.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
8.ფული და ფულის ექვივალენტები	11
9.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11
10.შემოსავალი	12
11.რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12
12.ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	12
13.წმინდა ფინანსური შემოსავალ(ხარჯი)	12
4.ბრუნვები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	12
5. ფუნქციონირებადობა	12
6. ბალანსის შემდგომი მოვლენები	12

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2305535	1624635	817098
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	129188	405162	180837
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	93798	98822	65984
მარაგები	971678	779603	864600
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	971678	779603	864600
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	59163	52007	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	4795	5667	6665
ძირითადი საშუალებები	918764	980000	1371421
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	4482921	3945896	3306605
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	9947	24943	10487
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	70	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	25650	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	444490	105194	59621
სულ ვალდებულებები	454437	155857	70108
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი')	85566	85566	85566
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	3934860	3704123	3150931
გადაფასების რეზერვი	8058	350	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	4028484	3790039	3236497
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4482921	3945896	3306605
სულ მოკლევადიანი აქტივები	971624	2103642	1946820
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	431957	109322	48628

დირექტორი: კობა წაქაძე-----

30.09.2023

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	2827573	4310970
საქონლის გაყიდვიდან	1816631	2305990
მომსახურების გაწევიდან	1008670	784888
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	2272	1220092
გაყიდვების თვითღირებულება	-1158444	-1541966
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1669129	2769004
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-538796	-440448
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-233252	-221607
საპროცენტო შემოსავალი	23222	13079
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	-68213	-63956
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-227697	-170618
სულ საოპერაციო ხარჯები	-1044736	-883550
საოპერაციო მოგება	624393	1885454
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	10547	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან		
და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-266217	-84335
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	1310	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი		
ოპერაციებიდან	370033	1801119
მოგების გადასახადის ხარჯი	-20894	-50049
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	349139	1751070
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების)		
გადაფასების რეზერვი	7708	350
სხვა	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	7708	350
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	356847	1751420
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3790039	3236497
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატ. შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-118402	-1197878
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4028484	3790039

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1051450	662037
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-9153	1427713
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-95180	-1197878
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	947117	891872
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-266217	-84335
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1624635	817098
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2305535	1624635

დირექტორი: კობა წაქაძე-----

30.09.2023

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „უნივერსალ ინტრალოჯისტიკს“ (205159718) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ 2006 წლიდან მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა: სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის ტექნიკის და მოწყობილობების იჯარა და ლიზინგი, საბითუმო ვაჭრობა სხვა მანქანებით და მოწყობილობებით. კომპანიის გენერალური დირექტორია კობა წაქაძე (01024004064) მარეგისტრირებული ორგანოა თბილისის საგადასახადო ინსპექცია. კომპანიის დამფუძნებელია კობა წაქაძე (01024004064) 100% წილი. მისამართი - საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ნუცუბიძის ქ#1.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად - ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - “სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, შეფასებები პერიოდულად გადაიხედება, რაც გავლენას ახდენს აქტივების და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილება გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით.

ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის

განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივი ან ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა.

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდის გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია როცა მოხდება საქონლის ან მომსახურების რეალიზაცია ან რეალიზაციაზე თანხის ავანსად მიღების შემთხვევაში შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოს მიერ ნებადართულია რომ, დღგ-ს ანგარიშწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად. ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით.

თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა.

შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხორციელდება წრფივი მეთოდით და კლებადი ნაშთის მეთოდით. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის კლებადი ნაშთის მეთოდით, ცვეთის ნორმა განისაზღვრება 15%-ით. კომპანიის არამატერიალური აქტივები წარმოადგენს: სპეციალური პროგრამები, მოდულები, ვებ გვერდი.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენისა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისთვის. მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმო განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატების და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო

ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშების არასაოპერაციო ნაწილში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში

აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება

დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ თანამშრომელისაგან

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება,

როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის,

რომელშიც იგი გამოცხადდება.

დივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, დივიდენდები აღირიცხება, როგორც

ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და

დამტკიცება.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს

ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას

მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად

საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდება „რეალიზებული პროდუქციის

თვითღირებულების“ ან „ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის

მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე

პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა,

როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და

შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ

ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში

შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება,

რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი

და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადსგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და

დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

ა) კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც

წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;

ბ) სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში

განივთებული რესურსების გასვლა;

გ) შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის

თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა

ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას.

სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად გადაიხედება.

შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

წინა წლების კორექტირებები და რეკლასიფიკაციები

გარკვეული კორექტირებები განხორციელდა 2018 წლის 31 დეკემბრით, 2020 წლის 31 დეკემბრით და 2021 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით. დასრულებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, კერძოდ დაკორექტირდა დაგროვებითი პენსიის დარიცხული თანხები. ასევე განხორციელდა რეკლასიფიკაციები ამავე თარიღებით დასრულებული წლის მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რათა ის თანხვედრაში ყოფილიყო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ ანგარიშგებასთან. (კერძოდ შემცირდა გაუნაწილებელი მოგება 2018 წ. 408 ლარი, 2021 წ. - 3816 ლარით. სადაც ჩასწორდა საპენსიო და სხვა ხარჯი).

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	მანქ. დან.	ოფისის აღჭ.	ავეჯიდასხვ	სატრანსპორტო საშუალო	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ჯამი
ღირებულება 1 იანვარი 2021	369681	1160663	47873	21033	470005.00	2364	2071619
შეძენა		250385	2428	1017			254613
გაყიდვა	(369681)	(57159)	(406)	(826)			428072
ღირებულება 31 დეკემბერი 2021	0	1353889	49896	21224	470005.00	2364	1897378
შეძენა							
გაყიდვა							
ღირებულება 31 დეკემბერი 2022		1486500	60315	23655	470005.00	2338	2042814
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2021 წ.	0	(515223)	(34695)	(15382)	(133441)	(1459)	(700200)
დარიცხული ცვეთა		(163464)	(3599)	(1755)	(51641)	(149)	(220608)
გაყიდული მ.ს		2198	406	826	0.00	00	3430
დაგროვილი ცვეთა 31.12.2021 წ.		(676489)	(37888)	(16310)	(185083)	(1608)	(917378)
დარიცხული ცვეთა		(170983)	(3612)	(1545)	(56128)	(137)	(232405)
გაყიდული მ.ს		22582	1611	1524	0	16	25733
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022 წ.		(824890)	(39889)	(16331)	(241211)	(1729)	(1124050)
ნარჩენი ღირებულება							
1 იანვარი 2021	369681	645441	13179	5652	336564	905	1371421
31 დეკემბერი 2021	0	677401	12007	4914	284923	755	980000
31 დეკემბერი 2022		661610	20426	7324	228795	609	918764

5.არამატერიალური აქტივები

	სხვა არამატერიალუ რი აქტივები	ჯამი
ღირებულება 1 იანვარი 2021	21076	21076
შეძენა		
გაყიდვა		
ღირებულება 31 დეკემბერი 2021	21076	21076
შეძენა		
გაყიდვა	65	
ღირებულება 31 დეკემბერი 2022	21011	21011
შეძენა		
გაყიდვა		
დაგროვილი ცვეთა 2021 1 იანვარი	(14411)	(14411)
დარიცხული ცვეთა	(998)	(998)
გაყიდული მ.ს		
დაგროვილი ცვეთა 2021 31 დეკემბერი	(15409)	(15409)
დარიცხული ცვეთა	(848)	(848)
გაყიდული მ.ს	41	41
დაგროვილი ცვეთა 2021 31 დეკემბერი	(16216)	(16216)
ნარჩენი ღირებულება		
1 იანვარი 2021	6665	6665
31 დეკემბერი 2021	5667	5667
31 დეკემბერი 2022	4795	4795

6. მარაგები

	31.12.2022	31.12.2021	31.01.2021
გასაყიდად გამიზნული საქონელი	971678	779603	822608
სხვა მარაგები	59163	52007	41992
სულ მარაგები:	1030841	831610.00	864600

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2022	31.12.2021	31.01.2021
სავაჭრო მოთხოვნები	129188	405162	180837
მოთხოვნები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	93798	98822	65984
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	222986	503984	246821

8. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2022	31.12.2021	31.01.2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	460	0	2040
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში ვალუტაში	0	0	5157
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1220605	198411	262911
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1084470	1426224	546990
ჯამი:	2305535	1624635	817098

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021	31.01.2021
სავაჭრო ვალდებულებები	9947	24943	10487
მიღებული ავანსები	444490	105194	59621
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		25720	
ჯამი:	454437	155857	70108

10.შემოსავლები

	31.12.2022	31.12.2021
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	1817911	2307508
საქონლის უკან დაბრუნება დაფასდათმობა	-1280	(1518)
მომსახურების გაწევა	1008670	784888
ძირითადი ფონდების რეალიზაცია და სხვა	2272	1220092
სულ შემოსავალი:	2827573	4310970

11.რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	31.12.2022	31.12.2021
სულ გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	-1158444	(1541966)

12.ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	31.12.2022	31.12.2021
მივლინების ხარჯები	2070	2312
მიწოდების ხარჯი	1203	3657
რემონტის ხარჯი	102302	63706
კომუნიკაციის ხარჯები	3386	3247
დაზღვევა	1029	761
საბანკო მომსახურება	4486	5886
საქველმოქმედო ხარჯი	1980	1600
საწვავის ხარჯი	82504	57804
სხა ხაჯი	28737	31645
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:	227697	170618

13.წმინდა ფინანსური შმოსავალი(ხარჯი)

	31.12.2022	31.12.2021
საპროცენტო შემოსავალი	23222	13079

14.ბრუნვები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

ბრუნვები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან შპს-ს არ აქვს.

	31.12.2022	31.12.2021
სულ გაცემული ანაზღაურება		
-უმალესი რანგის ხელმძღვანელობაზე		
გაცემული ანაზღაურება	31150	9275

15.ფუნქციონირებადობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

16. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა განმარტება ფინანსური ანგარიშგებაში საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.